ხაშურის მოამბე

№2 (253) 19 იანვარი, კვირა, 2020 წელი

გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს

ნათლისღება უძველესი ქრისტიანული დღესასწაულია, თორმეტ საუფლო საეკლესიო დღესასწაულთაგან ერთ-ერთი.

სახარების მიხედვით, ეს დღესასწაული უკავშირდება მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვრის ნათლისღებას, ანუ მონათვლას, სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს ნათლობის წესი და საეკლესიო პირველი საიდუმლო.

საეკლესიო სწავლების მიხედვით, მაცხოვარმა იორდანეში თავისი სამგზის შთაფვლით განწმინდა წყლები.

ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინება სადღესასწაულო წირვა, წირვის შედეგ ეკურთხება დიდი აიაზმა და ნაკურთხი (განწმენდილი) წმინდა წყალი ურიგდება მორწმუნეებს.

ნათლისღების წყალი ინახება დიდხანს უხრწნელად და ნებისმიერი მორწმუნე ადამიანი, რომელიც მას რწმენით დალევს, უამრავი სნეულებისგან შეიძლება განიკურნოს (ეკლესიაში ამის არაერთი ფაქტი ფიქსირდება).

ნაკურთხ წყალს, სახლში მიტანის შემდეგ, ამრავლებენ, სხვა წყლიან ჭურჭელში ასხამენ და აპკურებენ სახლს ბოროტი ძალისგან დაცვის, ბად-ვენახებს – უხვი მოსავლის მიღების მიზნით.

ნათლისღების დღესასწაულს თან ახლავს ტრადიციული განბანვის რიტუალი. საქართველოს ზოგიერთ სოფელში ხდება მღვდლის ან მღვდელმთავრის მიერ მდინარის ან ტბის კურთხევა, რის შედეგადაც, სიცივის მიუხედავად, მრევლი ჩადის წყალში და გალობს ნათლისღების ტროპარს.

სოფელ ჩორჩანასთან, საოკუპაციო ძალებმა უკანონო ინსტალაციები აღმართეს

ხაშურის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალებმა უკანონო ინსტალაციები აღმართეს.

სუს-ი აცხადებს, რომ ოფიციალური თბილისი ამ ქმედებას ე.წ ბორდერიზაციის კონტექსტში განიხილავს.

"ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩორჩანას და წაღვლის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში საოკუპაციო ძალების პროვოკაციული ქმედებები, მწვავედ იქნა დასმული როგორც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორ-

მატში გამართულ შეხვედრებზე, ასევე, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების რაუნდებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყოველდღიურ რეჟიმში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ამოქმედებულია ჩვენს ხელთ არსებული ყველა საერთაშორისო მექანიზმი. საერთაშორისო პარტნიორების მიერ, არაერთგზის დაფიქსირდა კონსოლიდირებული პოზიცია სოფელ ჩორჩანასთან განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა უმოკლეს ვადებში გაიმართოს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა, სადაც ცენტრალური ხელისუფლება კვლავ მკაცრად მოითხოვს სოფლების ჩორჩანასა და წაღვლს შორის არსებული ტყის მასივიდან უკანონოდ აღმართული ინსტალაციების დემონტაჟს", - აცხადებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ქართულმა მხარემ ჩორჩანასთან საგუშაგო ბლოკ-პოსტის მშენებლობა 30 აგვისტოს დაასრულა. იმავე დღეს ქართულმა მხარემ ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის ულტიმატუმი არ შეასრულა - საგუშაგო ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან არ დაშალა.

საოკუპაციო რეჟიმის მოთხოვნა სწორედ საგუშაგოს დაშლა იყო.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობამ ქართულ მხარეს ულტიმატუმი 29 აგვისტოს წაუყენა, მას შემდეგ, რაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ჩაიშალა. დე ფაქტო წარმომადგენლობის თქმით, თუ ქართული მხარე დილის 6 საათამდე "სოფელ წნელისში პოლიციის საგუშაგოს არ აიღებდა, ისინი კანონის ფარგლებში მოიქცეოდნენ".

სოფელი წნელისი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული, საგუშაგო კი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხაშურის სოფელ ჩორჩანაში აიგო. საოკუპაციო რეჟიმი მიზანმიმართულად ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას.

5 სექტემბერს, ოკუპირებულმა რეჟიმმა "სამხრეთ ოსეთის" დროშა 944 მეტრის სიმაღლეზე აღმართა.

11 სექტემბერს, საოკუპაციო ძალებმა სოფელ ჩორჩანასა და წაღვლის მახლობლად საგუშაგოები ააგეს, ხოლო ოკუპირებულ სოფელ წნელისში მანამდეც იყო განთავსებული საოკუპაციო ძალების საგუშაგო. ამ ქმედებებით მათ 3 ქართული საგუშაგო მოაქციეს ალყაში.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

გასული წლის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული და გაწერილი გეგმისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ჩაატარა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ წინა წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. დღევანდელ ნომერში მკითხველი ამ აუდიტორული შემოწმების საგაზეთო ვარიანტს გაეცნობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებდეს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმენება იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილი საქმიანობა და მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას, ასევე მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა და წარიმართება აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე დაყრდნობით, რაც მოიცავს, როგორც ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების, ასევე განხორციელებული საქმიანობის მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ შიდა კონტროლი შესაფერისია თუ არა, ერთის მხრივ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, მეორეს მხრივ კი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტების გამოსავლენად, რათა განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, აგრეთვე მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის შესახებ ანგარიშგების დოკუმენტაციის წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად ჯგუფზე გადაცემული დოკუმენტები

გადმოგვეცა შემდეგი დოკუმენტაცია:

- დაფუძნების მასალები, წესდება, სამოქმედო პროგრამის მიმდინარეობის შესრულების დოკუმენტაცია;
- საკონტროლო პერიოდის, როგორც გეგმიური, ასევე საკასო შესრულების დოკუმენტები;
- პროგრამაზე სამოქმედო გეგმების მიზნების და ამოცანების განხორციელების მიმდინარე მონიტორინგის მონაცემები;
- ა(ა)იპ-ის დამტკიცებული საშტატო განრიგი;
- ბიუჯეტით განსახორციელებელი გადასახდელების დასაფინანსებელი ოპერაციების დოკუმენტაცია, დარიცხული და გაცემული ხელფასის დოკუმენტაცია;
- დოკუმენტები ძირითადი და მცირეფასიანი ქონების შესყიდვასა და სარგებლობაზე;
- გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა) ზოგადი დებულებანი

იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“ (შემდგომში იურიდიული პირი);

იურიდიული პირის მისამართია: ქ. ხაშური, რუსთაველის ქუჩის მეორე ჩიხი, №6;

იურიდიული პირის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია;

იურიდიულ პირს შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში;

იურიდიული პირის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი -„ხაშურის თვითმმართველი ერთეული“- ხაშურის მუნიციპალიტეტი (რეგისტრაციის რეკვიზიტები: საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა, სერია გსი №00120, ს/კ 243911745).

ბ) იურიდიული პირის ძირითადი მიზნები და საქმიანობის საგანი

კულტურის ცენტრების გაერთიანების საქმიანობა - მიზნები და ამოცანებია სხვადასხვა კულტურული და შემოქმედებითი პროგრამების დანერგვა, რისთვისაც მას განესაზღვრა პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

3 მარტს - დედის დღის, 9 აპრილს - ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები. სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება. ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პირების და მოქმედი ანსამბლების წახალისება საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებისათვის.

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვრიდან 2018წლის 31 დეკემბრამდე.

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- თოჯინების თეატრის შემდგომი მხატვრულ-შემოქმედებითი განვითარების მხარდაჭრა;
- დრამატული თეატრის ტრადიციების აღდგენისა და თეატრის ახალი სადადგმო რეპერტუარისადმი მხარდაჭერა;
- ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება;
- თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ანალიზი

ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №132 განკარგულების საფუძველზე - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის “ბ“ პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ორგანიზაციას დაუმტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის 2018 წლის პროგრამა“ საერთო ბიუჯეტით 252600 (ორასომოცდათორმეტიათას ექვსასი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 227340 (ორასოცდაშვიდიათას სამასორმოცი) ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 25260 (ოცდახუთიათას ორასსამოცი) ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წლის განსახორციელებელი ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამით - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის “ბ“ პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, კულტურის სფეროში ორგანიზაციას დაუმტკიცდა ბიუჯეტი 157200 (ასორმოცდაჩვიდმეტიათას ორასი) ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და საბოლოოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 დეკემბრის განკარგულება №103-ით - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წლის განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამებისთვის ორგანიზაციას კულტურის სფეროში დაუმტკიცდა ბიუჯეტი 124845 (ასოცდაოთხიათას რვაასორმოცდახუთი) ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №132 განკარგულებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და საბოლოოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის განკარგულება №135-ით - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციას დაუმტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ საერთო ბიუჯეტით 256155 (ორასორმოცდათექვსმეტიათას ასორმოცდათხუთმეტი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება -226988 (ორასოცდაექვსიათას ცხრაასოთხმოცდარვა) ლარი და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 29167 (ოცდაცხრაათას ასსამოცდაშვიდი) ლარი.

ორგანიზაციას ასანაზღაურებელი დარჩა 2017 წლის საახალწლო ღონისძიებებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული ხარ-

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

ჯები 23836 (ოცდასამიათას რვაასოცდათექვსმეტი) ლარი. ორგანიზაციას მთლიანად განესაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით დასაფინანსებელი ხარჯების გეგმა 404360 (ოთხასოთხიათას სამასსამოცი) ლარი.

ორგანიზაციას დაუდგინდა 2018 წლის მიზნობრივი შემოსავლების გეგმა 12557 (თორმეტიათას ხუთასორმოცდაჩვიდმეტი) ლარი და ორგანიზაციას მთლიანად განესაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მიზნობრივი შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით დასაფინანსებელი პროგრამების დაზუსტებული ხარჯების გეგმა 417393 (ოთხასჩვიდმეტიათას სამასოთხმოცდაცამეტი) ლარი.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანებას, სუბსიდიის სახით, ჩარიცხული აქვს 403790,60 (ოთხასსამიათას შვიდასოთხმოცდაათი ლარი და 60 თეთრი) ლარი, მიღებული აქვს სხვა მიზნობრივი შემოსავლები 8175 (რვაათას ასსამოცდათხუთმეტი) ლარი, სულ 411965,60 (ოთხასთერთმეტიათას ცხრაასსამოცდახუთი ლარი და 60 თეთრი) ლარი, მიღებული აქვს 2017 წლის საახალწლო ღონისძიებებზე ასანაზღაურებელი გაწეული ხარჯები 23836,60 (ოცდასამიათას რვაასოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი, - სულ 435802,20 (ოთხასოცდათხუთმეტიათას რვაასორი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

ორგანიზაციის საკასო ხარჯმა, 2018 წელს, შეადგინა 411695,35 (ოთხასთერთმეტიათას ექვსასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 35 თეთრი) ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით 403790,60 (ოთხასსამიათას შვიდასოთხმოცდაათი) ლარი და 60 თეთრი და მიზნობრივი შემოსავლები 7904,75 (შვიდიათას ცხრაასოთხი) ლარი და 75 თეთრი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 228303 (ორასოცდარვაათას სამასსამი) ლარი, გეგმა - 232238 (ორასოცდათორმეტიათას ორასოცდათვრამეტი) ლარი, საქონელი და მომსახურება 179697,33 (ასსამოცდაცხრამეტიათას ექვსასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 33 თეთრი) ლარი, გეგმა - 181023 (ასოთხმოცდაერთიათას ოცდასამი) ლარი, აქედან მივლინება - 755 (შვიდასორმოცდათხუთმეტი) ლარი, გეგმა - 763 (შვიდასსამოცდასამი) ლარი, ოფისის ხარჯი -22219,27 (ოცდაორიათას ორასცხრამეტი) ლარი და 27 თეთრი, გეგმა -22422,0 (ოცდაორიათას ოთხასოცდაორი) ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 156723,06 (ასორმოცდათექვსმეტიათას შვიდასოცდასამი) ლარი და 06 თეთრი, გეგმა - 157838 (ასორმოცდაჩვიდმეტიათას რვაასოცდათვრამეტი) ლარი, სხვა ხარჯები - 0 (ნული) ლარი, გეგმა - 615 (ექვსასთხუთმეტი) ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3516 (სამიათას ხუთასთექვსმეტი) ლარი, გეგმა - 3517 (სამიათას ხუთასჩვიდმეტი) ლარი.

2018 წლის 1 იანვრისთვის ორგანიზაციას მიზნობრივი შემოსავლების ნაშთი ერიცხებოდა 57,40 (ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 40 თეთრი, შემოსულია 2018 წელში 8175,0 (რვაათას ასსამოცდათხუთმეტი) ლარი, გეგმა 12557,0 (თორმეტიათას ხუთასორმოცდაჩვიდმეტი) ლარი. გახარჯულია, პროგრამის ფარგლებში, 7904,75 (შვიდიათას ცხრაასოთხი) ლარი და 75თეთრი, მათ შორის - შრომის ანაზღაურება - 1315 (ათასსამასთხუთმეტი) ლარი, საქონელი და მომსახურება - 6410,83 (ექვსიათას ოთხასათი) ლარი და 83 თეთრი, მოსაკრებლები 178,92 (ასსამოცდათვრამეტი) ლარი და 92 თეთრი. ნაშთმა 2019 წლის 1 იანვრისთვის შეადგინა 327,65 (სამასოცდაშვიდი) ლარი და 65 თეთრი.

საშტატო განრიგი, პერსონალის (თანამშრომელთა) კვალიფიკაცია, პროფესიული შესაბამისობა მათ საწარმოო საქმიანობასთან

წესდების შესაბამისად, საშტატო ნუსხის განაკვეთის განსაზღვრა ხდება მმართველის მიერ, რომელიც წესდების შესაბამისად შეთანხმებულია დამფუძნებელთან წარმოდგენილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სახით და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს და განსახორციელებელ საქმიანობას. ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ მმართველის მიერ, დამტკიცებული 2018 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 71 ადამიანი, შტატგარეშე - 0. ორგანიზაციაში 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, სხვადასხვა პერიოდში, სულ დასაქმებული იყო 71 ადამიანი.

შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების აუდიტი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით, სუბსიდიის სახსრებიდან დარიცხულია 226988 (ორასოცდაექვსიათას ცხრაასოთხმოცდარვა) ლარი, საშემოსავლოს სახით დარიცხულია და გადარიცხულია ბიუჯეტში 44282 (ორმოცდაოთხიათას ორასოთხმოცდაორი) ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან გაცემულია 1315 (ათას სამას თხუთმეტი) ლარი, დარიცხულია და გადახდილია საშემოსავლო გადასახადი 243 (ორასორმოცდასამი) ლარი. საშემოსავლო გადახდის შედავათით მოსარგებლე პირია 2 (ორი) ადამიანი.

მივლინებები, პრემიები და ოფისის ხარჯები.

2018 წლის 12 თვეში ქვეყნის შიგნით მივლინებების სახით გაცემულია 755 (შვიდასორმოცდათხუთმეტი) ლარი, ქვეყნის გარეთ მივლინების თანხები გახარჯული არ არის. დანამატების სახით ორგანიზაციას თანხები არ გაუცია.

ოფისის ხარჯების მუხლით 2018 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 22219,27 (ოცდაორიათას ორასცხრამეტი) ლარი და 27 თეთრი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22422 (ოცდაორიათას ოთხასოცდაორი) ლარისა.

შესყიდვები

ჩვენს მიერ, შერჩევის წესით, შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობები და დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით. შესყიდვების გეგმა ორგანიზაციას 2018 წელს განესაზღვრა 142017,40 (ასორმოცდაორიათას ჩვიდმეტი) ლარი და 40 თეთრი. ფაქტიურმა შესყიდვებმა შეადგინა 141138,40 (ასორმოცდაერთიათას ასოცდათვრამეტი) ლარი და 40 თეთრი, მათ შორის კონსოლიდირებული ტენდერით - 253,40 (ორასორმოცდაცამეტი) ლარი და 40 თეთრი, გამარტივებული შესყიდვით წესით განხორციელებულია 56407,03 (ორმოცდათექვსმეტიათას ოთხასშვიდი) ლარის და 03 თეთრის შესყიდვები, ელექტრონული ტენდერების მეშვეობით შესყიდულია - 84477,93 (ოთხმოცდაოთხიათას ოთხასსამოცდაჩვიდმეტი) ლარის და 93 თეთრის საქონელი და

არაფინანსური აქტივები

ორგანიზაციას, 2018 წლის 1 იანვრისთვის, ბალანსზე ერიცხებოდა მატერიალური ფასეულობები თანხით 25215,24 (ოცდახუთიათას ორასთხუთმეტი) ლარის და 24 თეთრის. შეძენილია 2018 საანგარიშო წლის განმავლობაში 3516,10 (სამიათას ხუთასთექვსმეტი) ლარის და 10 თეთრის მატერიალური ფასეულობები, დარიცხულია ცვეთა 2522,45 (ორიათას ხუთასოცდაორი) ლარის და 45 თეთრის. მატერიალური ფასეულობების ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 26208,77 (ოცდაექვსიათას ორასრვა) ლარს 77 თეთრს.

დებიტორები და კრედიტორები

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციას დებიტორული დავალიანება არ გააჩნდა, კრედიტორული დავალიანება კი შეადგენდა 23836 (ოცდასამიათას რვაასოცდათექვსმეტ) ლარს.

2019 წლის 1 იანვრისთვის ორგანიზაციას კრედიტორული დავალიანების ნაშთი არ დარჩენია.

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების მდგომარეობა

ორგანიზაციაში ყველა მატერიალური პირი დანიშნულია ბრძანებით. ორგანიზაციაში ძირითადად დაგეგმილია ქვეყანაში არსებული საერთო სააღრიცხვო სისტემა. ორგანიზაცია გადასულია ბასს-ზე.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის განსაზღვრა

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის. სააუდიტო პერიოდში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

საფინანსო ოპერაციების ანალიზი

ორგანიზაცია 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 06 ივლისის №225 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, გადასულია სახელმწიფო ხაზინის ერთიან მომსახურების სისტემაზე.

სახაზინო ანგარიშიდან თანხების გადარიცხვა ორგანიზაციის მიერ ხდება წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მასზე დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში.

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, 2018 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამით, გათვალისწინებული დაფინანსება და ფაქტიური დანახარჯები შესრულებული აქვს შემდეგნაირად:

ორგანიზაციას 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული ჰქონდა ხარჯების დაზუსტებული გეგმა 417393 (ოთხასჩვიდმეტიათას სამასოთხმოცდაცამეტი) ლარი, ფაქტიურად ორგანიზაციის მიერ გახარჯულია 411695,35 (ოთხასთერთმეტიათას ექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და 35 თეთრი.

თამაზ ლომიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა
აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“#41,42,44,45,46,47)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის, რომ გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს, რადგან არაერთი ლეგენდა თითქმის იდენტურია სურამის ციხის ლეგენდისა.

შოტლანდიაში, შემორჩენილი ლეგენდების თანახმად, აქ ნაგებობათა საძირკველებს რწყავდნენ ადამიანის სისხლით. კოპენჰაგენის ქალაქის კედლები ინგრეოდა მანამ, სანამ შიგ არ ჩაატანეს უდანაშაულო გოგონა. ის გაართეს სათამაშოებითა და საჭმელებით. სანამ გოგონა თამაშობდა მუსიკის გრიალში, თორმეტმა კალატოზმა ცოცხლად ამოქოლეს იგი კედელში. ამის შემდეგ ნაგებობა იდგა მყარად.

იტალიური ლეგენდით მდინარე არტუზე ხიდის მშენებლობის დროს, რომელიც გამუდმებით ინგრეოდა, ცოცხლად ჩამარხეს მშენებლის ცოლი და ხიდის აგებაც „წარმატებით დამთავრდა“.

როდესაც 1463 წელს, ნოგატაში, საჭირო შეიქმნა დანგრეული საგუბარის შეკეთება, ვიდაც მაწანწალა დაათვრეს და შიგ ცოცხლად ჩაატანეს.

სლავებში გავრცელებული რწმენით, მშენებლობის დროს კედელში უნდა ჩაეტანებინათ პირველი შემხვედრი ყმაწვილი.

ინგლისური ლეგენდით, ვინმე ვარტიგერნემ ვერ შეძლო თავის ციხე-სიმაგრის დამთავრება მანამ, სანამ საძირკვლის ქვები არ დაალბო ბავშვის სისხლი.

სერბიული ლეგენდა მოგვითხრობს: სამი ძმა აშენებდა ციხე-სიმაგრეს, მაგრამ დღისით აშენებული, ღამით ინგრეოდა. ძმებმა გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ცოლებიდან მსხვერპლად შეეწირათ ის, ვინც პირველი მოუტანდა საჭმელს მუშებს. დადეს ფიცი, რათა ეს საიდუმლოება არ გაემხილათ მეუღლეებისთვის. ორმა უფროსმა ძმამ დაარღვია ფიცი და გაფრთხილეს ცოლები. ციხის მშენებლობას შეეწირა უმცროსი ძმის ცოლი. იგი ცოცხლად ჩაატანეს კედელში. ქალი იხვეწებოდა, რომ დაეტოვებიათ პატარა ხვრელი, რათა შესძლებოდა ძუძუთი გამოეკვება ჩვილი ბავშვი. მისთვის ეს თხოვნა შეუსრულებიათ და ისიც თორმეტი თვის მანძილზე ასე კვებავდა შვილს.

აფრიკის ქალაქ გალამის მთავარი ჭიშკარის მშენებლობის დროს, ცოცხლად დამარხეს გოგონა და ბიჭი, რათა ქალაქი აუღებელი ყოფილიყო. ასეთი ჩვევა იყო ზარამში და იარიბშიაც.

პოლინეზიაში, მაევის ტაძრის ცენტრალური კოლონა იდგა ადამიანის სხეულზე, კუნძულ ბორნეოზე, დაიაკებში სასახლის მშენებლობისას პირველი ბოძისათვის ამოთხარეს დიდი ორმო, შიგ ჩააგდეს ტყვე ქალიშვილი და ვეებერთელა ძელმა გასრისა იგი. ეს იყო სულებისთვის გაღებული მსხვერპლი.

სურამის ციხის ლეგენდის მსგავსია ტიურინგიული ლეგენდა. რათა ლიბენშტეინის ციხე მყარი ყოფილიყო, დედისგან დიდ თანხად იყიდეს მისი შვილი და ჩაატანეს კედელში. როდესაც კალატოზებმა დაიწყეს მშენებლობა, ბავშვი ღვეზელს ჭამდა. დედას ესმოდა ბავშვის ყვირილი: „დედა, მე შენ ჯერ გხედავ“, ცოტა ხნის შემდეგაც „ - დედა, კიდევ გხედავ ცოტათი“, ხოლო როდესაც მის თავზე დადეს უკანასკნელი ქვა, გაისმა ბავშვის ხმა: „დედა, მე ვეღარ გხედავ“.

საერთოდ, ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მსოფლიოს ყველა ხალხისთვის საყოველთაო ჩვეულება იყო. შემდგომში, ისტორიის მსვლელობის მანძილზე, საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ადამიანებმა უარი თქვეს ამ ჩვეულებაზე და ადამიანის მსხვერპლად შეწირვა შეიცვალა ცხოველის, ხოლო მერე სხვადასხვა საგნების შეწირვით, რასაც ჩვენს დროშიც აქვს ადგილი. რაც შეეხება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებას, იგი თანდათანობით ლეგენდებად იქცა და ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს დაუკავშირდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, თუ ეს ასე მოხდა ზოგიერთ ხალხში, თავისი ძველი მნიშვნელობა შეინარჩუნა და სრულდებოდა აფრიკაში, პოლინეზიასა და აზიაში XIX საუკუნემდეც კი, რაც დადასტურებული აქვს პირველყოფილი კულტურის გამოჩენილ ინგლისელ მკვლევარს ედუარდ ტეილორს.

არც ქართული სინამდვილისთვის ყოფილა უცხო მოვლენა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება. ეს ფაქტი დასტურდება ქართულ და უცხოურ წყაროებშიც.

ლეონტი მროველის ცნობით, საქართველოში ამ ჩვეულების აკრძალვა მეფე რევიმ (III ს-ის შუა წლები) განახორციელა. მეფე რევიმ, - აღნიშნავს იგი, - „...მეფობასა შინა მისსა არღარა-ვის უტევა ქართლსა შინა ყრმათა კვლა, რომელსა-იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდეს მსხუერპლად ყრმათა. და ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარა-ვინ კვლიდა ყრმათა კერპთათვის, არამედ ცხურისა და ზროხისა შეწირვა განუწესა. ამისთვისცა ეწოდა მას რევ მართალი“.

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც სხვა ხალხებში, ჩვენთანაც, ქართული საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულების უკუგდების შემდეგ, იგი თანდათან გადავიდა ლეგენდებსა თუ თქმულებებში და დაუკავშირდა სხვადასხვა ძეგლებს. ცხადია, ასევე უნდა მომხდარიყო ადამიანის კედელში ჩაშენების თქმულების დაკავშირება კონკრეტულ შემთხვევაშიც. სურამის ციხის ლეგენდა უკვე XVIII საუკუნის ზოგიერთ ავტორთან გვხვდება კიდეც. მაგალითად, ალექსანდრე ამილახვართან. მკვლევარი ნ. შამანაძე როცა ეხება კედელში ჩაშენებული მსხვერპლის სიუჟეტს ფოლკლორში, მიუთითებს: რადგან ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მსოფლიოს ყველა ხალხისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომაა, რომ მსგავსმა პირობებმა მსგავსი სიუჟეტები წარმოშვეს, იგი არ გამორიცხავს ურთიერთ გავლენებსაც და აღნიშნავს: „ზოგიერთ შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავთ ურთიერთ გავლენებსაც. როცა უნგრულ, ბულგარულ და სერბიულ ბალადებს ვეცნობით, საკმაო სიახლოვესა და ნათესაობას ვხედავთ. შესაძლებელია, მათ ერთი ძირი აქვთ, მაგრამ ძნელია ამ ძირის მონახვა, რადგან იგი უკვე გაქრა მხატვრულად სრულყოფილი ბალადების ზეგავლენით. რაც შეეხება ქართულ ლეგენდას, იგი განსხვავებული და თავისებურია. ეს ლეგენდა აღმოცენდა ქართულ ნიადაგზე. ადგილობრივ პირობებში, მაგრამ ეს პირობები მსგავსი იყო სხვა ქვეყნების პირობებისა და აქედან წარმოსდგება ის გარეგნული მსგავსება, რომელიც ქართულ ლეგენდასა და სხვა ხალხთა სიუჟეტს შორის არსებობს“ .

სხვათაშორის, სურამის ციხის ლეგენდის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველაზე უძველესია ის ვარიანტები, რომლებიც ბალადის ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული .

არსებობს სურამის ციხის ლეგენდის პროზაული ვარიანტიც. ამ ვარიანტის მიხედვით, დავით აღმაშენებელი (ზოგჯერ ვახტანგ გორგასალი) აშენებს სურამის ციხეს, მაგრამ კედლები რამდენჯერაც ამოიყვანეს, იმდენჯერვე დაინგრა. მისანს უთქვამს მშენებლებისთვის: ციხე რომ ააგოთ, მის კედელში დედისერთა ვაჟი უნდა იქნას ჩაშენებულიო. აღმოჩნდა თავის განწირვის მსურველი - დედისერთა ზურაბმა ითხოვა კედელში ჩაშენება. კალატოზებმა დაიწყეს ციხის შენება და როცა ზურაბი, ის-ის იყო, მთლიანად დუღაბით უნდა დაეფარათ, მისანმა ბრძანა გათავისუფლება, „ასეთ შვილთა ქვეყანას, ციხეები არ სჭირდება!“- თქვა მან.

ეს ვარიანტი დაედო საფუძვლად დ. სულიაშვილის ვრცელ მოთხრობას „ზურაბის ციხე“.

მკვლევარ ნ. შამანაძის აზრით, ლეგენდის „ეს ვარიანტი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როცა ურიცხვ დამპყრობელთა მოძალების გამო, ძნელბედობისა და ყოფნა-არყოფნის საბედისწერო მომენტების განცდის შემდეგ ქართველ ხალხში მთელი ძალით აბობოქრდა პატრიოტული სულისკვეთება. სრულიად სხვა საფუძველზე წარმოშობილ ლეგენდას ღრმა პატრიოტული ხასიათი მიუღია“.

საერთოდ, ნებისმიერ თქმულებასა და ლეგენდაში მისი შემქმნელი ხალხის სული და ხასიათი, ნაფიქრალი და ნააზრევი ჩანს. ამიტომ სურამის ციხის ლეგენდას ჩვენც უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ და გავიაზროთ და მასში აუცილებლად დავინახავთ ცხოვრებისეული სინამდვილის ანარეკლს. სურამის ციხის კედლების შენება და ნგრევა სიმბოლურად ეხმიანება ქართველი კაცის მიერ გამოვლილ მძიმე ისტორიულ სინამდვილეს, რომელსაც ახლდა ნგრევაცა და შენებაც. ნგრევაცა და შენებაც მსხვერპლს მოითხოვდა. სიმბოლურად სწორედ ეს მსხვერპლია „ჩაშენებული“ სურამის ციხის კედელში ზურაბის სახით. იგი ის ქართველი გმირი ვაჟკაცია, რომელიც მშვიდობიანობის დროს სურამის ველზე გუთნისდედობას სწევდა, ხოლო სამშობლოს განსაცდელის ჟამს მის დამცველთა რიგში დგებოდა და სურამის ციხის კედლებიდან იცავდა საქართველოს თავისუფლებასა და თვითმყოფადობის შეუვალობას.

თუ როდის არის აშენებული სურამის ციხე, ცნობილი არაა. ქართული საისტორიო წყაროები ამის შესახებ დუმს.

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით. სურამი და მისი ციხე-სიმაგრე აშენებულია მეფე ფარნაჯომის (ძვ.წ.აღ-ის II ს-ის I ნახევარი) მიერ, 200 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე.

სურამის ციხე-სიმაგრის აგების ასეთ დათარიღებას ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მხოლოდ პლ. იოსელიანი იძლევა. სამწუხაროდ, რომელი წყაროთი სარგებლობდა, იგი არ მიუთითებს.

სურამის ციხე-სიმაგრის აგებასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებია დაცული უცხოურ საისტორიო წყაროებში, კერძოდ, სპარსულსა და თურქულში.

XVII საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები სურამის ციხის აგებას სპარსეთის მეფე ანუშირვანის (IV ს.) სახელს უკავშირებს. არც ევლია ჩელები უთითებს წყაროს, საიდანაც ეს ცნობა აქვს აღებული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გარკვეულ ტრადიციას ემყარება, რომელიც სურამის ციხის აგების შესახებ არსებობდა მის დროს.

სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში სურამის ციხის აშენებას შაჰ-აბასს მიაწერს (XVII ს-ის 10-იანი წლები), რაც სიმართლესთან ახლოს არ უნდა იყოს. სპარსი ისტორიკოსის ამ ცნობაში, - შაჰ-აბასის მიერ სურამის ციხის მხოლოდ შეკეთება უნდა იგულისხმებოდეს. რადგან ისე მოკლე დროში და თანაც ისე სწრაფად, როგორც ამას ისქანდერ მუნში აღნიშნავს, აქ ციხე-სიმაგრე ვერ აშენდებოდა. მართლაც, ამ დროს, შაჰ-აბასმა სურამის ციხე-სიმაგრე მხოლოდ შეაკეთა. ამაზე საუბარია მისი კარის მოხელის, ისტორიკოსის მელიქ შაჰ-ჰუსეინ სისტანის თხზულებაში „იჰაია ალ-მელუქი“ (მეფეთა აღდგომა). ისტორიკოსი წერს, რომ „იმ ხანებში წესრიგში მოყვანილ იქნა გორის, სურამის და სხვა ციხეები“ .

ამრიგად, XVII ს-ის 10-იანი წლებისთვის სურამში ციხე-სიმაგრე უკვე არის და შაჰ-აბასმა იგი ახლად კი არ ააშენა, არამედ წესრიგში მოიყვანა, შეაკეთა.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი ვახტანგ გორგასალს მიაწერს სურამის ციხის აგებას. იგი აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასალმა „ააშენა მეტეხის და სურამის ციხეები“.

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების (შ. მესხია, პ. ზაქარია და სხვა) აზრით, სურამის დღევანდელი ციხე-სიმაგრე განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში აიგო (XI ს.) .

სურამის ციხის აგების დათარიღების შესახებ ზემოთაღნიშნული მოსაზრებებიდან, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს პლ. იოსელიანის ცნობა. ყოველი შემთხვევისთვის, აქ XI-XII საუკუნეებამდე რომ უნდა ყოფილიყო გარკვეული თავდაცვითი ნაგებობა, ამაზე მთელი რიგი პირდაპირი და არაპირდაპირი მონაცემები და ფაქტები მიგვანიშნებს. სწორედ ეს ხდის სარწმუნოს, რომ სურამში ციხე-სიმაგრე უფრო ადრე აიგო, ვიდრე ეს მიღებულია თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. არც ის არის გამორიცხული, რომ სურამში არსებულმა ციხე-სიმაგრემ სწორედ XI-XII საუკუნეებში, ქვეყნის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, განიცადა გარკვეული სახეცვლილება, მოხდა მისი ხელმეორედ „აშენება“, „აგება“. შემდგომში, საქართველოს ერთიან ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდში (XII-XIII სს.). როგორც ჩანს, მან, სხვა შინაარსიც შეიძინა; მით უფრო, თუკი აქ, ქართლის ერისთავთ-ერისთავების - სურამელების რეზიდენციაც იყო.

(გაგრძელება V გვერდზე)

- სეზონური გრიპი -

სიტუაცია მართვადია და საგანგაშო არ არის

სეზონური გრიპი ყოველწლიურად ცირკულირებს, რაც ადამიანთა გრიპით ავადობას განაპირობებს. საქართველოს ბევრ რეგიონში დაფიქსირდა მწვავე გართულებები, ზოგიერთი შემთხვევა, გარდაცვალებითაც კი დასრულდა. თუმცა, როგორც ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღანელმა, დავით ჩიქოვანმა გვითხრა, სიტუაცია არც ისე საგანგაშოა. მიუხედავად მცირედ გაზრდილი სტატისტიკისა, მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს:

- ბატონო, დავით, რა მდგომარეობაა ამ დროისთვის ხაშურში, როგორია გრიპით ინფიცირების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით?

–საქართველოს მასშტაბით რომ მიმოვიხილოთ სიტუაცია, გასულ წლებთან შედარებით, ნამდვილად არ გვაქვს შიშის საფუძველი. ხაშურშიც არაა საგანგაშო მდგომარეობა. ეპიდემიური დაკვირვება ხდება მეორმოცე კვირიდან წლის ბოლომდე. დაახლოებით 31 769 პაციენტი იყო 2018 წელს, აქედან 1447 იყო გრიპის დაავადებით, 2019 წელს 30 000 პაციენტი იქნა ამბულატორიულად გასინჯული, აქედან 1078 იყო კლინიკური მდგომარეობა, 2020 წლის ორი კვირის განმავლობაში მცირედ მოიმატა შემთხვევებმა, 297 შემთხვევაა ფიქსირებული, როცა გასული წლის მაჩვენებელი ორჯერ აღემატებოდა წლევანდელ მაჩვენებელს. გასულ წელს 14 პაციენტი მოთავსადა სტანციონარში, ხოლო 2018-ში – 35, წელს რიცხვი ცოტა გაზრდილია. ეს ქვეყნის მასშტაბითაც ასეა. პაციენტების უმრავლესობა ბავშვები არიან, თუმცა, არც ერთი შემთხვევა ფატალურად არ დამთავრებულა.

- სახელმწიფო პრევენციულ ზომებსაც მიმართავს, რაც გარკვეული ჯგუფების უფასო ვაქცინაციას გულისხმობს. წელს, რამდენ პაციენტს ჩაუტარდა უფასო აცრა?

–წელს, 500 გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა მივიღეთ, გარკვეული რისკჯგუფებისთვის. რომელიც მთლიანად გაიხარჯა. აიცრნენ საბავშვო ბაღის თანამშრომლები, ც ჰეპატიტით დაავადებულები, დიაბეტიანი და ორსული პაციენტები, თუმცა, მათი რიცხვი გაცილებით დაბალი იყო. ამ ეტაპზე, ჯერ-ჯერობით სიტუაცია მართვადია, ველოდებით მეორე ტალღას გაზაფხულზე, თუმცა, ამისთვისაც მზად ვართ. ჩვენ ცენტრში არის მედიკამენტი „ტამი ფლუ“, რომლის მიღებაც შეუძლიათ სოც. დაუცველ და ორსულ პაციენტებს. დღემდე ეს პრეპარატი არავის მოუთხოვია, რადგან არ დამდგარა ამის საჭიროება.

- ბოლო დროს, დიდი გამოხმაურება იყო ც ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით...

–ყველაზე დიდი მიზეზი ისაა, რომ ადამიანები, რომლებმაც იციან საკუთარი დიაგნოზი (მათი რიცხვი 16-18 000 აღწევს), უარს აცხადებენ მკურნალობაზე. 65 000 ადამიანი ჩაერთო ამ პროგრამაში, მათგან 58 000 უკვე განკურნებულია. ეს პრეპარატი საკმაოდ ძვირადღირებულია. პირველ ეტაპზე შემოტანილ პრეპარატს სხვა მედიკამენტის დამატება სჭირდებოდა მკურნალობის პროცესში, რომელსაც გარკვეული გვერდითი მოვლენები ჰქონდა.. მეორე ეტაპზე შემოვიდა საკმაოდ დახვეწილი პრეპარატი, რომლითაც მკურნალობენ. ძალიან ბევრ განკურნებულ პაციენტს ვიცნობ, რაც იმას მოწმობს, რომ პროგრამა გამართულად მუშაობს. სრული სია არ გვაქვს ინფიცირებული ადამიანების, თუმცა, ვისაც დაუდასტურდა დიაგნოზი, ვცდილობთ ამ ადამიანების მოძიებას. პირველი და მეორე ჯგუფის პაციენტების მკურნალობა აქაც ხდება.

შიდა ქართლის გუბერნატორმა მოსწავლეებს ეროვნულ მუზეუმში უმასპინძლა

გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის საჯარო სკოლების 24 მოსწავლეს შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში უმასპინძლა.

„შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მე-10-მე-11 კლასების მოსწავლეებს ვუმასპინძლეთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ეს ღონისძიება ეროვნული მუზეუმისა და ჩვენი, შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლობით ერთობლივად დაიგეგმა. მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული მუზეუმი მუზეუმების უდიდესი გაერთიანებაა, რომელიც სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურულ მიმართულებებს მოიცავს, შესაბამისად, ვფიქრობ, ჩვენი მოსწავლეებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება დღევანდელი დღე“,- განაცხადა შიდა ქართლის გუბერნატორმა გიგი ხოჯევანიშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება)

მოგვიანებით, როცა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად, სურამის ციხე-სიმაგრის როლი და დანიშნულება უფრო მეტად გაიზარდა ქვეყნის ცხოვრებაში. მით უფრო, რომ იგი ქართლის სამეფოსა და მასთან გამეზობლებული ოსმალეთის საზღვრის სიახლოვეს აღმოჩნდა.

ინტერესს უნდა იწვევდეს საკითხი, თუ სად მდებარეობდა ძველი ქალაქი სურამი და როგორი ურთიერთობა იყო ქალაქსა და მისი სახელით ცნობილ ციხეს შორის. „შუა საუკუნეების ქალაქები,- წერს პროფ. პ. ზაქარაია, -წესისამებრ, ციხესთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, იმ დროს ქალაქი ციხე-სიმაგრეა. ჩვეულებრივ ასე იყო შუა საუკუნეების ქალაქი, მაგრამ შეიძლება, ყოფილიყო გამონაკლისიც, ე.ი. ქალაქი ციხის გარეთ, მას საკუთარი გალავანი არ ჰქონოდა“.

სხვათაშორის, სურამი მხოლოდ გვიანდელ რუსულ წყაროებში მოიხსენიება ციხე-ქალაქად, რაც სხაგან არ დასტურდება. იმ მონაცემის მიხედვით, რაც გაგვაჩნია ქალაქ სურამისა და მისი ციხის შესახებ, არ ჩანს, რომ სურამი, როგორც ქალაქი ციხის შიგნით ყოფილიყო განთავსებული.

პროფ. პ. ზაქარაია სურამის ძველი ნაქალაქარის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით შემდეგს წერს: „სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სურამი ფეოდალური ხანის ბოლომდე ქალაქი იყო და გასულ საუკუნეებში ისე მოშლილა ყველაფერი, რომ ახლა ნაქალაქარიც გარკვევით არ ჩანს. ასეთი სახელის მატარებელ ქალაქს დღემდე არ მოუღწევია. მისი ადგილმდებარეობა, კონკრეტულად, თუ სად იყო, დღევანდელ სოფელ სურამში არ ჩანს. არც მემატიანეებს მიუთითებიათ. ადგილზეც ქალაქის ნანგრევები აშკარად არ ჩანს“. პროფ. პ. ზაქარაია ამავე დროს სავსებით სამართლიანად მიუთიებს იმ გარემოებაზე, რომ ციხე აუცილებლად ძველი ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო და მის გარშემო მიაჩნია სავარაუდებელი ნაქალაქარის არსებობა. „ლოგიკა გვკარნახობს, - აღნიშნავს პ.ზაქარაია,- რომ ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ეს დიდებული ციხე, რომელიც სოფლის აღმოსავლეთის ნაწილში დგას. მართალია, ჩვენამდე მოაღწია ციხის მთავარმა ნაწილმა, მაგრამ მისი გაგრძელება უნდა ყოფილიყო ციხიანი კლდოვანი გორაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთით (ალბათ, უფრო ჩრდილოეთით, რადგან დასავლეთით ჩამოედინება მდ. სურამულა და ამ მხარეს ციხის განვითარება არ მოხერხდებოდა- თ.ლ.). ამ მონაკვეთზე ჯერ კიდევ 40-იან წლებში ჩანდა რაღაც ნაგებობებისა და გალავნის კვალი. შეიძლება, ეს ნაშთები ნაქალაქარზე მიგვანიშნებდეს“.

პროფ. პ. ზაქარაია ქალაქ სურამთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქი ციხის გარეთაა გაშენებული. იგი წერს: „აქ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის ნაშრომის ერთი ადგილი. ავტორი ქალაქის დახასიათების შემდეგ აგრძელებს: „არს საშუალს ციხე მაღალს კლდესა ზედა“, ე.ი. ქალაქის შუაზე არის ციხე. ვახუშტის ამ ტექსტიდან ნამდვილად დასტურდება, რომ კლდეზე აღმართული ციხე- ქალაქის შუაშია მოქცეული. ჩვენ მიერ მოყვანილი მსჯელობა ციხისა და ქალაქის ურთიერთობაზე, ვფიქრობთ, ამ ცნობით დასტურდება“.

ამრიგად, პროფ. პ. ზაქარაია, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სურამში ციხე „ქალაქის შუაშია მოქცეული“ და იგი არ წარმოადგენს ციხე-ქალაქს, როგორც ხშირ შემთხვევაში ეს შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. აქ ქალაქი ციხის გარეთ არის და მას საკუთრივ გალავანი არ გააჩნია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მანანა ჩიტიშვილის ცნობილი ლექსისა არ იყოს, როდესაც ქვიშხეთის მთაწმინდიდან გადახედავ ამ ულამაზეს ველს, შეგრძნება გეუფლება, რომ მთელ საქართველოს ეფერები. ა. სუთიაშვილის ფოტო.

- რაგბი -

გურამ გოგიჩაშვილი-საუკეთესოთა შორის

ამ დღეებში, სასიამოვნო და ჩვენთვის სასიხარულო ცნობა გაავრცელა ავტორიტეტულმა სარაგბო გამოცემამ "პლანეტარაგბ"-მა, რომელმაც 2019 წელს გამოჩე
ნილი ახალი მორაგბეების სიმბოლური ნაკრები შეადგინა. მსოფლიოს საუკეთესოთა შორის საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული "რასინგის" შერკინების ბურჯი გურამ გოგიჩაშვილიც მოხვდა. მკითხველისთვის ცნობილია, რომ გურამი ხაშურის სარაგბო სკოლის აღზრდილია და ოსიაურელ მორაგბეს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

"მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო თასზე მან ყველა მატჩში სათადარიგოთა სკამიდან მიიღო მონაწილეობა, ერთხელაც არ შეურცხვენია თავი. მომდევნო 12 თვის განმავლობაში, ვფიქრობთ, ის საბოლოოდ დაიმკვიდრებს წამყვან ადგილს საქართველოს ნაკრებში"-წერს "პლანეტარაგბი".

ჩვენც გვჯერა, რომ გურამის სახით ქართულ რაგბს დიდი ვარსკვლავი შეემატება და გულშემატკივრებს მრავალჯერ გაგვახარებს წარმატებებით.

რკინიგზელთა პროფკავშირი ბავშვებზეც ზრუნავს

საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც მუდამ გვერდში უდგას თითოეულ რკინიგზელს და მათი სოციალური მდგომარეობისა თუ სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის დღენიადაგ ზრუნავს. აღსანიშნავია, რომ აქ, არც ამ ორგანიზაციაში შემავალი წევრების პატარები ავიწყდებათ და მათ ყოველწლიურად რამდენჯერმე უწყობენ სხვადასხვა სახის გასართობ ღონისძიებებს. ცხადია, არც წლევანდელი ახალი წელი ყოფილა გამონაკლისი და 3, 4 და 5 იანვარს ხაშურელი რკინიგზელების შვილებს ორგანიზაციამ სადღესასწაულო ცენტრში უმასპინძლა.

პატარებს ახალი წელი მიულოცეს სხვადასხვა ზღაპრის გმირებმა. ბავშვებმაც ბევრი იხალისეს და იმღერეს. ბოლოს კი, თოვლის ბაბუამ მათ მრავალფეროვანი საახალწლო საჩუქრები გადასცა.

- ვაკანსია ბაკურიანში -

შემოუერთდით ჩვენს გუნდს!

სასტუმრო "რუმს კოხტა" აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ პოზიციებზე: მიმტანი, დასუფთავების თანამშრომელი, მრეცხავი, მზარეული, ინჟინერი.

ჩვენ უზრუნველვყოფთ თანამშრომლებს საცხოვრებლით, კვებით, ჯანმრთელობის დაზღვევით და სხვა ბენეფიტებით. დაგვიკავშირდით ნომერზე: 577 31 32 34.

ადმინისტრაცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.